რელიგიური უმცირესობების

კულტურული მემკვიდრეობის მდგომარეობა საქართველოში

2016

ანგარიში მოამზადა ადამიანის უფლებათა ცენტრმა

ავტორი: ნანა სანებლიძე
რედაქტორები: ალეკო ცქიტიშვილი, ლანა გიორგიძე
თარგმანი: ნინო ტლაშაძე
პროექტის ჟურნალისტი: ნათია გოგოლაშვილი
პროექტის ფოტოგრაფი: გოგა ჩანადირი
კულტურული მემკვიდრეობის სპეციალისტი: გიგა მისრიაშვილი

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხოლო ხელისუფლება პატივს უნდა სცემდეს კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობის პრინციპებს და ძალთა გადანაწილებას დისკრიმინაციის ყველა დონეზე.

<u>მისამართი:</u>
0160 თბილისი , მ. ქანთარიას ქ. 11ა, III სართული
ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 245 45 33, (+995 32) 238 46 48
ფაქსი: (+995 32) 238 46 48
ელ-ფოსტა: hridc@hridc.org
ვებ-პორტალი: http://www.humanrights.ge ; http://www.hridc.org .

Government of Canada Gouvernement du Canada

ანგარიში მომზადდა კანადის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას, შესაბამისად, იგი არ არის პასუხისმგებელი გამოქვეყნებული მასალის შინაარსზე.

სარჩევი

შესავალი 4

ებრაელთა კულტურული მემკვიდრეობა 6

თბილისში მდებარე სომხური ტაძრების მდგომარეობა 13

კათოლიკეთა მემკვიდრეობა 24

მუსლიმთა კულტურული მემკვიდრეობა - სამცხე-ჯავახეთის მეჩეთები 31

რელიგიური უმცირესობებისათვის საკულტო ნაგებობების დაბრუნება 38

რელიგიურ უმცირესობათა მემკვიდრეობის დაზიანება - პასუხისმგებლობა 42

მედიატური - რელიგიური უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები 44

რეკომენდაციები 45

დანართი 47

შესავალი

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს პროექტის - „რელიგიურ უმცირესობათა მემკვიდრეობის შენარჩუნება“ - შედეგებს. პროექტი მოიცავდა პერიოდს 2015 წლის 1 ნოემბრიდან 2016 წლის 26 თებერვლამდე. პროექტის მიზანი იყო რელიგიურ უმცირესობათა ისტორიული სალოცავების მდგომარეობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

პროექტის ფარგლებში, რელიგიურ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობის შესწავლის მიზნით, ადამიანის უფლებათა ცენტრმა განახორციელა გასვლითი ვიზიტები რაჭაში, სამცხე-ჯავახეთში, იმერეთსა და აჭარაში, სადაც შეისწავლა სინაგოგების, მეჩეთებისა და ყოფილი კათოლიკური ეკლესიების მდგომარეობა და სხვადასხვა პრობლემა. მონიტორინგის ჯგუფმა, ასევე, შეისწავლა თბილისში არსებული იმ ტაძრების მდგომარეობა, რომელთა საკუთრებაში გადაცემას მოითხოვს სომეხთა სამოციქულო წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქია, მათ შორის არის ტაძრები, რომელთა კუთვნილების საკითხზე განსხვავებული აზრი აქვს საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას.

საერთო ჯამში, რეგიონებსა და თბილისში, ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებმა დოკუმენტირების მიზნით 17 ღვთისმსახურების ადგილისა და საკულტო ნაგებობის ამსახველი ფოტო და ვიდეომასალა გადაიღეს. პროექტის ჟურნალისტის მიერ მომზადდა სტატიები სხვადასხვა პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით, რომლებიც გამოქვეყნდა ორგანიზაციის ინტერნეტ-გაზეთში - www.humanrights.ge [1].

ადამიანის უფლებათა ცენტრმა რელიგიურ უმცირესობათა მემკვიდრეობის შენარჩუნებასთან დაკავშირებით გადაიღო ფილმი „რელიგიურ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობა“[2]. რამდენიმე ტელემაუწყებლის ეთერში განთავსდა სოციალური რეკლამა მოწოდებით: „დაიცავი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა!“[3] პროექტში ჩართული იყო კულტურული მემკვიდრეობის სპეციალისტი-ხელოვნებათმცოდნე, რომელმაც პროფესიულ დონეზე შეისწავლა რელიგიურ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობა. ამავე დროს, მან შეაფასა იმ ძეგლების ავთენტურობა, ისტორიული და კულტურული ღირებულება, რომლებსაც ოფიციალურად არ ჰქონდა მინიჭებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

---

[1] სტატიების თაობაზე სრული ინფორმაცია იხ.: დანართში

[2] http://www.hridc.tv/index.php?a=main&pid=1&lang=geo-hridc.tv

[3] სოციალური რეკლამა, ასევე, განთავსდა ადამიანის უფლებათა ცენტრის ვიდეოპორტალზე - hridc.tv: http://www.hridc.tv/index.php?a=view&id=1139&lang=geo

პროექტის ფარგლებში ადამიანის უფლებათა ცენტრმა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან განახორციელა ადვოკატირება სოფელ ფლატესა და სოფელ ადიგენში მდებარე მეჩეთებისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭებისა და სოფელ საყუნეთის მეჩეთისა და თბილისში მდებარე შამქარეცის ტაძრის რეაბილიტაციის მიზნით. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო განიხილავს საყუნეთის მეჩეთისა და შამქარეცის ტაძრის რეაბილიტაციის შესაძლებლობას. რაც შეეხება სოფელ ფლატესა და ადიგენში მდებარე მეჩეთებს, მათ ადვოკატირების შედეგად მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ჯგუფი, საკითხის ყოველმხრივი შეფასებისა და გამოკვლევის მიზნით, შეხვდა რელიგიური უმცირესობების, საპატრიარქოს, სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურისა და სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის წარმომადგენლებს.

ადამიანის უფლებათა ცენტრის ორგანიზებით მოეწყო მედიატური სამცხე-ჯავახეთში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა მედიასაშუალების წარმომადგენლებმა.

პროექტის დასასრულს, ადამიანის უფლებათა ცენტრმა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოაწყო ფოტოგამოფენა, ფილმის ჩვენება და ანგარიშის პრეზენტაცია.

მონიტორინგის პროცესში გამოვლინდა შემდეგი ძირითადი პრობლემები:

- ებრაელთა მასობრივი მიგრაცია ისრაელში, რაც იწვევს საქართველოში არსებული სინაგოგების უმოქმედობას;
- კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე სომხური სადავო ეკლესიების არასათადო მდგომარეობა;
- კათოლიკური ეკლესიების საკუთრების უფლებით გადაცემა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე მეჩეთების არასათანადო მოვლა-პატრონობა სახელმწიფოს მხრიდან;
- ისტორიული და კულტურული ღირებულების მქონე ძეგლებისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის არქონა.

ებრაელთა კულტურული მემკვიდრეობა

(სინაგოგები)

ებრაელთა ერთ-ერთ სალოცავ ადგილს წარმოადგენს სინაგოგა. იერუსალიმის ტაძრის დანგრევის (ახ. წ. 70 წ.) და დიასპორის (პალესტინის ფარგლებს გარეთ ებრაული კოლონიები) გაფართოების შემდეგ სინაგოგები არსდება ყველგან, სადაც კი ებრაელები ცხოვრობენ. სინაგოგაში ასრულებენ ღვთისმსახურებას, კითხულობენ და კომენტარებს უკეთებენ ბიბლიასა და თალმუდს, მართავენ რიტუალურ ტრაპეზებს[4].

დღეისათვის საქართველოში მრავლადაა ისტორიული სინაგოგები, რომელთა უმრავლესობას სახელმწიფოს მიერ მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. XIX საუკუნემდე აგებულ სინაგოგებს ჩვენამდე არ მოუღწევია, დღემდე შემორჩენილი სინაგოგების უმრავლესობა XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული შენდებოდა, ნაწილი XX საუკუნის პირველ ათეულ წლებშია აგებული.

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებმა სინაგოგათა მდგომარეობის შესწავლის მიზნით მოინახულეს საქართველოში მდებარე ოთხი სინაგოგა:

- რაჭაში - ონის სინაგოგა;
- სამცხე-ჯავახეთში - ახალციხის ორი სინაგოგა;
- აჭარაში - ბათუმის სინაგოგა.

❖ ონის სინაგოგა

ქალაქ ონში, ებრაელების უბანში მდებარე სინაგოგას მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. ონის სინაგოგა, თბილისისა და ქუთაისის სინაგოგების შემდეგ, სიდიდით მესამეა. მისი აგება უკავშირდება რაბინ ელია ამშიკაშვილის[5] სახელს. მან ებრაელი მეცენატების დახმარებით ონში 1890 წელს დაიწყო სინაგოგის მშენებლობა, რომელიც საზეიმოდ გაიხსნა 1895 წელს.

---

[4] იხ.: სტატია - „ონის სინაგოგა დღეს ისევ დაკეტილია“
http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18578&lang=geo

[5] რაბინი ელია (ელიაუ) ამშიკაშვილი - საზოგადო მოღვაწე
http://akastudio.ge/map/index.php?do=page&id=106&lang=geo

ონის სინაგოგა

1991 წელს დასავლეთ საქართველოში მომხდარი ძლიერი მიწისძვრის შედეგად ძეგლი დაზიანდა. ადგილობრივი და ისრაელში ემიგრირებული ებრაელების ფინანსური შემწეობით, 2005 წელს ასოციაცია „ინჟინრული აზრის“ მიერ მომზადდა პროექტი, რომელიც არ შეიცავდა ძეგლის რესტავრაციისთვის აუცილებელ დოკუმენტაციას. ამიტომ, 2010 წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ ონის სინაგოგის სრულყოფილი სარეაბილიტაციო დოკუმენტაციის მოსამზადებლად, შედგა კონკურსი, რომელშიც გამარჯვებულად იგივე კომპანია გამოცხადდა.

სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობდა 2012-2014 წლებში. ფინანსური ხარჯები გაიღო „საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდმა“.

ონის სინაგოგა დღესდღეობით სრულადაა რეაბილიტირებული, მაგრამ მლოცველთა და დამთვალიერებელთა სიმცირის გამო შენობაზე დადებულ ბოქლომებს იშვიათად თუ გახსნის სინაგოგის ერთადერთი დარაჯი.

❖ ახალციხის სინაგოგები

ქალაქ ახალციხეში, გურამიშვილის ქუჩაზე, ერთმანეთის გვერდით მდებარეობს ორი სინაგოგა.

ზედა სინაგოგა აშენებულია 1863 წელს. მას მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი[6] და საქართველოში დღემდე შემორჩენილ სინაგოგებს შორის ყველაზე ძველია. 2012 წელს, რაბათის რეკონსტრუქციისას, რესტავრაცია ჩაუტარდა ამ სინაგოგასაც, რა დროსაც ზეთის საღებავებისგან მთლიანად გაიწმინდა ხის ელემენტები, აღდგა მხატვრობის დაზიანებული ნაწილები.

ახალციხის ზედა სინაგოგა - ინტერიერი რესტავრაციის შემდეგ

[6] საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2011 წლის 28 ოქტომბრის ბრძანება №3/272

ქვედა სინაგოგა[7] 1902 წელსაა აშენებული. საბჭოთა კავშირის დროს აქ სხვადასხვა დაწესებულება იყო განთავსებული: ბიბლიოთეკა, კინოკლუბი, საბილიარდო... ბოლოს კი კრივის დარბაზად გამოიყენებოდა. მიუხედავად იმისა, რომ შენობა კონსტრუქციულად კარგ მდგომარეობაშია, ამჟამად სრულიად მიუხედავი და მიტოვებულია. სინაგოგის ფასადებსა და სახურავზე გაზრდილია ხე-მცენარეები, სახურავი კი მოძველებულია. გასარემონტებელია და მოუვლელია სინაგოგის ინტერიერიც, სადაც მთლიანად აყრილია იატაკი. მოკრივეთა გაყვანის შემდეგ მთავრობას სურდა, სინაგოგის რეაბილიტაცია, მაგრამ სამუშაოები არ ჩატარებულა. ახალციხის რაბათის რეაბილიტაციის დროს დაგეგმილი იყო არა მხოლოდ ამ კონკრეტული შენობის, არამედ მთლიანად ქვედა რაბათის უბნის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია, მაგრამ 2012 წლის შემდგომ სამუშაოები შეჩერდა. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ახლო მომავალში ძეგლის რეაბილიტაცია არ იგეგმება.

ახალციხის ქვედა სინაგოგა - ინტერიერი

[7] კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა 2011 წლის 28 ოქტომბერს, ბრძანება №3/272

❖ ბათუმის სინაგოგა

ბათუმის სინაგოგა 1904 წელსაა აგებული. ამჟამად შენობა სსიპ „საქართველოს ებრაელთა კავშირის“ სარგებლობაშია. სინაგოგა გამოირჩევა არქიტექტურით. ძეგლზე გარკვეული სამუშაოებია ჩატარებული გასული საუკუნის 90-იან წლებში, მაგრამ - გარკვეული ხარვეზებით. დღესდღეობით ამ ხარვეზთა გამოსწორება გათვალისწინებულია შპს „სინუსის“ მიერ 2015 წელს მომზადებული პროექტით, რომლის მიხედვითაც სარეაბილიტაციო სამუშაოებს ახორციელებს შპს „ირიდიუმი“ (სამშენებლო ნებართვის მოქმედების ვადაა 2016 წლის 5 აპრილამდე), საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტთა მეთვალყურეობით. სარეაბილიტაციო სამუშაოები სრულდება კერძო დაფინანსებით. კულტურული მემკვიდრეობის სპეციალისტის შეფასებით, რეაბილიტაცია მიმდინარეობს ხარვეზების გარეშე.

ბათუმის სინაგოგა

❖ ებრაელთა მიგრაცია

დღეისათვის საქართველოში მდებარე სინაგოგების უმრავლესობა სახელმწიფოს მხრიდან სათანადოდაა დაცული. ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ჯგუფის მიერ მონახულებული 4 სინაგოგიდან მხოლოდ ერთი - ახალციხის ქვედა სინაგოგა საჭიროებს რეაბილიტაციას. საქართველოს ებრაელთა კავშირის თავმჯდომარის, მერაბ ჩანჩალაშვილის თქმით, ერთადერთი პრობლება, რაც ხელს უშლის სინაგოგების ფუნქციონირებას, არის ებრაელთა მიერ ქვეყნის მასობრივი დატოვება. ეს პროცესი მიმდინარეობდა გასული საუკუნის 70-80-იან წლებში, როდესაც საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ებრაელებს უფლება მიეცათ, საცხოვრებლად წასულიყვნენ ისრაელში და ამ საშუალებით ათასობით ებრაელმა ისარგებლა.

ტრადიციულად, ებრაული ლოცვები შეიძლება ჩატარდეს იქ, სადაც ათი ებრაელი მამაკაცი მაინც შეიკრიბება. დღესდღეობით, ონისა და ახალციხის სინაგოგებში ლოცვის ჩასატარებლად სამყოფი მლოცველი ვერ იკრიბება, რის გამოც ონისა და ახალციხის სინაგოგები უმეტესწილად დაკეტილია. ისრაელში ემიგრირებული ებრაელები პერიოდულად ჩამოდიან რაჭაში თავიანთი „მეორე სამშობლოს“ მოსანახულებლად. თუმცა, ეკონომიკური და სოციალური უპერსპექტივობის გამო, საქართველოში სამუდამოდ დაბრუნების სურვილს არ გამოხატავენ.

„პრობლემა უმუშევრობა და დაუსაქმებლობაა. მუდმივ საცხოვრებლად ისრაელიდან აქ ჩამოსვლის სურვილი არავის აღარ აქვს. საბჭოთა კავშირის დაშლამდე ჩვენი ხალხი პერიოდულად მიდიოდა საქართველოდან. მანამდე, ხალხი როცა აქ იყო, რელიგიური დღესასწაულები ჩვეულებრივ მიმდინარეობდა. ძველი დრო კარგი გასახსენებელია. რიტუალები ტარდებოდა დღეში სამჯერ. ხალხი მოდიოდა სინაგოგაში და ლოცულობდა. რიტუალები როცა შეწყდა, მას მერე კარგი პერიოდი აღარ ყოფილა“, - აღნიშნავს ონის ადგილობრივი მცხოვრები აბრამ შიმშილაშვილი[8].

საქართველოს ებრაელთა კავშირის თავმჯდომარის, მერაბ ჩანჩალაშვილის თქმით, საქართველოში ებრაელთა ძირითადი პრობლემა ძალიან დიდი მიგრაციაა. მისი აზრით, მნიშვნელოვანია, რომ ისტორიულ სინაგოგებს ჰქონდეს რელიგიური ფუნქცია: „მარტო მუზეუმად გადაქცევა ცუდია. უკეთესი იქნება, თუ სინაგოგას თავისი ფუნქცია ექნება და აქ ხალხი ილოცებს“.

ებრაელთა ინფორმაციით, საბჭოთა პერიოდში ისრაელში ემიგრირებულ ბევრ „ქართველ ებრაელს“ შენარჩუნებული აქვს კულტურული და სულიერი კავშირი საქართველოსთან, მათი შვილები საუბრობენ ქართულ ენაზე და საქართველოს

[8] იხ.: სტატია- „ონის სინაგოგა დღეს ისევ დაკეტილია“
http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18578&lang=geo

მოიაზრებენ, როგორც „მეორე სამშობლოს“. ბევრ მათგანს ორმაგი მოქალაქეობა აქვს კიდეც, რაც პირდაპირი საფუძველია იმისა, რომ საქართველოს სახელმწიფომ იზრუნოს „ქართველი ებრაელების“ უფრო მჭიდრო ურთიერთკავშირზე საქართველოსთან.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა განცხადებით მიმართა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს, რათა მიეღო სტატისტიკური მონაცემები ებრაელთა მიერ საქართველოს საზღვრების დატოვებისა და მათი ქვეყანაში შემოსვლის შესახებ. სახელმწიფო მინისტრის აპარატის პასუხის თანახმად, საქართველოდან ებრაელთა გასვლისა და შემოსვლის შესახებ სტატისტიკური მონაცემები დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს არა აქვს.

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის განმარტებით, მონიტორინგს ექვემდებარებიან საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეები, აგრეთვე უცხო ქვეყნის მოქალაქე ჩვენი თანამემამულეები. ამ განმარტებიდან იკვეთება, რომ დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი ქართველ ებრაელებს არ განიხილავს თანამემამულეებად, მათ შორის არც იმ ებრაელებს, რომლებსაც აქვთ ორმაგი მოქალაქეობა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის რეკომენდაციაა, რომ სახელმწიფო სტრუქტურამ, რომლის ამოცანებშიც შედის საზღვარგარეთ, გარე მიგრაციული (ემიგრაციის) ნაკადების მონიტორინგი[9], უნდა შექმნას საინფორმაციო ბაზა საქართველოდან ისრაელში ემიგრირებული, განსაკუთრებით კი - ორმაგი მოქალაქეობის მქონე ებრაელების შესახებ. ამავე დროს, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ქართველ ებრაელთა დიასპორასთან ისეთივე მიდგომით უნდა იმუშაოს, როგორც სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ემიგრანტებთან, თანამემამულეებთან და თანამოქალაქეებთან.

სინაგოგების დანიშნულებისამებრ ფუნქციონირებისათვის, სასურველია, საქართველოს ხელისუფლებამ იზრუნოს ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელებთან კონტაქტების გაღრმავებაზე და მათი ნაწილის საქართველოში დასაბრუნებლად, შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაზე.

[9] საქართველოს მთავრობის დადგენილება №284
„დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი

თბილისში მდებარე სომხური ტაძრების მდგომარეობა

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ჯგუფმა მოინახულა თბილისში მდებარე 7 ტაძარი, რომლებსაც სომეხთა სამოციქულო წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქია უპირობოდ მათ საკუთრებად მიიჩნევს, ესენია: სურბ ნიშანი (იგივე - სურბ ნშანი), მოღნისის წმინდა გიორგის ეკლესია, ნორაშენის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია, სურბ მინა, შამქარეცი (იგივე - შამქარეცოც), სურბ გევორგისა და სურბ ეჩმიაძინის ეკლესია.

დღეისათვის მოქმედი ტაძრებია სურბ გევორგისა და სურბ ეჩმიაძინის ეკლესიები, რომლებიც უდავოდ სომეხთა სამოციქულო წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის განკარგულებაშია. დანარჩენი ტაძრები, რომელთა უმრავლესობა მნიშვნელოვნად არის დაზიანებული, ინტერრელიგიური დავის საგანია. ამასთან, მათ მინიჭებული აქვთ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, მაგრამ დაცვა და მოვლა-პატრონობა სათანადოდ ვერ ხორციელდება.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, სხვადასხვა წელს შესრულდა: მოღნისის გუმბათოვანი ეკლესიის სრული აღდგენის პროექტი და გამაგრებითი სამუშაოები; სურბ ნიშანის ტაძრის კონსერვაციის პროექტი, არქეოლოგიური შესწავლა და სარეაბილიტაციო სამუშაოები, ასევე - ნორაშენის ეკლესიის კონსერვაციის პროექტი, სადაც ჩატარდა არქეოლოგიური კვლევა, რომლის შედეგები ჯერ არ გამოქვეყნებულა და ამჟამად მიმდინარეობს ეკლესიის გამაგრებითი სამუშაოები.

❖ სურბ ნიშანი (სურბ ნშანი)

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, თბილისში დღეს შემორჩენილი სომხური საკულტო ძეგლები XVII საუკუნის მიწურულზე ძველი არ არის. მათ შორის ერთ-ერთ ყველაზე ადრეულად ითვლება სურბნიშნის ეკლესია (სომხურად - სურბ ნშან), აგებული 1703-1720 წლებში. ვახუშტი ბატონიშვილის რუკაზე ეკლესია მოხსენებულია „მამასახლისის საყდრად“. მამასახლისები და ამ ტაძრის არქიტექტორები კი თავადი ბებუთოვები იყვნენ, რომლებიც „ქართველ თავადებად“ - ბებუთაშვილებად იწოდებოდნენ. მოგვიანო დოკუმენტებში ეკლესია წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრად არის მოხსენიებული და აღნიშნულია, რომ აქ ინახებოდა წმ. ნიკოლოზის მრავალნაწილოვანი სასაწაულმოქმედი ხატი, რომელშიც ანდრია მოციქულის თავის ქალის ნაწილი იყო. საბჭოთა საქართველოს დროს აქ განთავსებული იყო საჯარო ბიბლიოთეკის წიგნსაცავი, რომელიც რამდენიმე წლის წინ ხანძრისგან განადგურდა.

2011 წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულმა „ძეგლების და ღირსშესანიშნავი ადგილების საკითხების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კავშირი ICOMOS საქართველო“-მ შეადგინა სურბნიშნის ტაძრის რეაბილიტაციის სრული საპროექტო დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც მომდევნო წელსვე ტენდერში გამარჯვებული შპს „კონსტრუქტორი 2012“-ს მიერ განხორციელდა შენობის ნაწილობრივი გამაგრებითი სამუშაოები, რაც მოიცავდა ინტერიერში ჩრდილოეთის დაძრული ნაწილის გამაგრებით სამუშაოებს. კერძოდ, მოხდა ბურჯებისა და თაღების გაძლიერება ლითონის კონსტრუქციით, რის შემდეგაც ჩრდილოეთის კედლისა და დასავლეთ კედლის ნახევრის საძირკვლებში ჩაისხა რკინა-ბეტონის ბალიშები. მას შემდეგ სამუშაოები შეწყვეტილია ნაგებობის სამხრეთით მომიჯნავე მოქალაქის ხელისშემშლელი ფაქტორების გამო (მოსახლის გასახლება არ მოხდა ქ. თბილისის მერიის მიერ).

სომეხთა სამოციქულო წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის წარმომადგენლების განცხადებით, ტაძარი დიდხანს იყო ნანგრევებით და ნაგვით სავსე. დღეისათვის ეკლესია გაწმენდილია, გამზადებულია ხარაჩოებიც, მაგრამ ტაძრის გვერდით მცხოვრებ მოქალაქეს მოწყობილი აქვს ძაღლების თავშესაფარი. ცხოველები ხშირად აბინძურებენ ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიას, სადაც ასევე, დგას არასასიამოვნო სუნი. ძაღლების ქომაგი მოქალაქე სახელმწიფომ დღემდე ვერ უზრუნველყო ალტერნატიული ფართით, რაც სომეხთა სამოციქულო წმინდა

ეკლესიის საქართველოს ეპარქიის წარმომადგენლების განცხადებით, უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს, რადგან ვეღარ გრძელდება ძეგლის რესტავრაციის პროცესი. ამ პრობლემას ადასტურებს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო.

- **მოღნისის წმ. გიორგის ეკლესია**

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, აგებულია 1751 წელს. 2009 წლის 19 ნოემბერს ჩამოინგრა შენობის გუმბათი და დაზიანდა კედლების დიდი ნაწილი. ქ. თბილისის მერიამ მალევე გაწმინდა ძეგლი ნანგრევებისგან, რის შემდეგაც, 2010 წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულმა შპს „არქიტექსმა“ შეასრულა საპროექტო სამუშაოები. გეოლოგიური გათხრებისას ინტერიერში გამოვლინდა უფრო ძველი ეკლესიის ნაშთი, რომელიც გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის მიხედვით, დათარიღდა არაუგვიანეს XIV საუკუნით.

ეკლესია წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს. შესაბამისი სტატუსი მიენიჭა 2007 წელს. მიუხედავად ამისა, ტაძარი სავალალო მდგომარეობაშია. ძველი საფლავის ქვები გამოტანილია ქუჩაში, რის გამოც არსებობს მათი განადგურების ან დაკარგვის რეალური საფრთხე. ბოლო ხანებში ტაძრის ჩამონგრეულ ადგილებში დამონტაჟდა რკინის ბადეები, მაგრამ ეს არაა საკმარისი მოღნისის შესანარჩუნებლად. სომეხთა სამოციქულო წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის ცნობით, მრავალი გაფრთხილების მიუხედავად, სახელმწიფო აღნიშნული ეკლესიის რეაბილიტაციას ჯერჯერობით არ აპირებს.

მოღნისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია

❖ ნორაშენის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესია

ნორაშენი

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ცნობით, ტაძარი აგებულია 1796 წლის შემდგომ. 1925 წელს საბჭოთა ხელისუფლებას ეკლესიის დანგრევა სურდა, მაგრამ თბილისის მცხოვრებთა წინააღმდეგობამ იგი განადგურებისაგან იხსნა და საბოლოოდ შენობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკას გადასცეს.

2014 წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულმა შპს „ინჟინრულმა აზრმა“ შეადგინა ნორაშენის ტაძრის რეაბილიტაციის სრული საპროექტო დოკუმენტაცია. იმავე წლის სექტემბერში შპს „აბა ჯგუფმა“ დაიწყო სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც დღემდე მიმდინარეობს „საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის“ ფინანსური მხარდაჭერით. სომეხთა სამოციქულო წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის წარმომადგენლების განცხადებით, ნორაშენში დღემდე მხოლოდ გამაგრებითი სამუშაოებია ჩატარებული. ოფიციალური მონაცემებით, დღეისათვის შესრულებულია შემდეგი სამუშაოები: საძირკვლის მთელ პერიმეტრზე მოეწყო რკინა-ბეტონის სარტყელი, რკინა-ბეტონის საყრდენით გამაგრდა გუმბათიც.

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებმა ნორაშენის სარეაბილიტაციო სამუშაოები ადგილზე მოინახულეს. რესტავრაციის პროცესს ხელს უშლის საძირკვლის პერიოდული დატბორვა, რის გამოც სამშენებლო კომპანიამ

საძირკველში მოაწყო წყლის ამოსატუმბი ჭები. ამ ამოსატუმბი სისტემის მეშვეობით, სამომავლოდ, შესაძლებელი იქნება ნაგებობის საძირკვლის დატბორვის პრევენცია. ტაძრის ინტერიერში ხარაჩოებია დაყენებული და პარალელურად მიმდინარეობს არქეოლოგიური და სარესტავრაციო სამუშაოები.

ნორაშენი დღესდღეობით წარმოადგენს დავის საგანს სომეხთა სამოციქულო წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიასა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის. როგორც საქართველოს საპატრიარქოს მდივანმა, მამა მიქაელმა (ბოტკოველი) ადამიანის უფლებათა ცენტრს განუცხადა[10], ერთმნიშვნელოვნად თქმა, რომ ეს არის სომხური ძეგლი, არ შეიძლება. მისივე თქმით, ძალიან კარგია, რომ არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობს და გამოქვეყნდება შედეგები. თავის მხრივ, სომეხთა სამოციქულო წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ნორაშენის სომხური წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს და ეპარქიას ეს თემა სადავოდაც კი არ მიაჩნია, იმდენად ბევრი ინდიკატორი არსებობს, რითაც დასტურდება, რომ ეკლესია ისტორიულად სომეხთა სამოციქულო წმინდა ეკლესიის საკუთრება იყო.

❖ სურბ მინა

ტაძარს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა 2007 წელს, კულტურის მინისტრის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე. ეკლესიის ეზოში ცხოვრობენ დევნილები. მათი თქმით, აღნიშნული ფართი მათ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ გამოუყო. ერთ-ერთმა მომიჯნავე მაცხოვრებელმა მოახდინა ეკლესიის კუთვნილი დამხმარე შენობის სარდაფის პრივატიზება და იქ მარანი მოაწყო. ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებთან საუბრისას მოქალაქემ ეს ფაქტი არ უარყო. დევნილი მაცხოვრებლები აცხადებენ, რომ სურბ მინას მიმდებარე ტერიტორიაზე ცხოვრება მათ თვითმიზანს არ წარმოადგენს. სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი ღონისძიებების გატარებისა და ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის გამოყოფის შემთხვევაში, ისინი მზად არიან, დატოვონ ტაძრის ეზო.

2014 წლის 7 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა სომეხთა სამოციქულო წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის წარმომადგენელმა „სურბ მინას“ სადავო ტაძრისა და მიმდებარე ტერიტორიის კერძო პირებზე გასხვისების კანონიერების შესწავლასთან დაკავშირებით.

---

[10]იხ.: ინტერვიუ - მამა მიქაელი: „საერთო მშვიდობისთვის შეთანხმებებს უნდა მივაღწიოთ“ http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18635&lang=geo

2013 წლის 12 მარტს ეპარქიამ ტაძრისა და მიმდებარე ეზოს კერძო პირების მიერ პრივატიზების კანონიერების დასადგენად საქართველოს მთავარ პროკურატურას მიმართა. სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს მთავარი პროკურატურიდან გამოითხოვა ინფორმაცია ზემოაღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გატარებული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ. მთავარი პროკურატურის წერილის თანახმად, 2013 წლის 26 აპრილს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ძველი თბილისის სამმართველოს პირველ განყოფილებაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, თბილისში, გელათის ქუჩა #13-ში მდებარე სურბ მინას სახელობის სომხური ტაძრისა და მიმდებარე ტერიტორიის კერძო პირებზე გასხვისების კანონიერების შემოწმებისა და ყალბი დოკუმენტის დამზადება-გამოყენების ფაქტზე[11].

სომეხთა სამოციქულო წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის წარმომადგენლების განცხადებით, გამოძიება შეწყდა, რადგან პროკურატურამ მიიჩნია, რომ საქმეზე არ არსებობდა სისხლის სამართლებრივი ქმედების ნიშნები.

❖ შამქარეცი

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, შამქორელთა ღვთისმშობლის ეკლესია, იგივე „კარმირ ავეტარანი“ (წითელი სახარება) შამქორიდან გადმოსახლებული სომხების მიერაა აშენებული XIX საუკუნის 40-იან წლებში. იგი თბილისის სხვა სომხური ტაძრებისაგან გამოირჩეოდა გუმბათით. 1937 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ ტაძარი დახურა და მას ხან პურის საცხობად და ხან საწყობად იყენებდნენ.

1989 წლის 13 აპრილს მომხდარმა მიწისძვრამ შენობა ძლიერ დაანგრია. გადარჩენილი რელიეფები (შვიდი ფილა) სომეხთა სამოციქულო წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის წარმომადგენლებმა მოიძიეს ნანგრევებში და გადაიტანეს ავლაბრის სურბ ეჩმიაძინის ეკლესიის ეზოში და დღემდე იქაა გამოფენილი.

2013 წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულმა შპს „ართ ბილდინგმა“ წარმოადგინა შამქორელთა ღვთისმშობლის ეკლესიის კონსერვაციის პროექტი, რაც ითვალისწინებს: ძეგლის ნანგრევებისგან გაწმენდას, გამოსადეგი სამშენებლო მასალის დახარისხებას, დაზიანებული ნაწილების გამაგრებას და კედლების კონსერვაციას მათი შემდგომი ნგრევის თავიდან აცილების მიზნით. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს განცხადებით, აღნიშნული

[11] იხ.: „საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2014 წელი“, გვ 448

სამუშაოების შესრულება ვერ ხერხდება, რადგან ვერ ხდება საჭირო ფინანსების მოძიება.

შამქარეცი

- **სურბ გევორგის ეკლესია**

თბილისში, მეიდანზე მდებარე „სურბ გევორგი“ (სურბ გევორქი) თბილისის უძველესი სომხური ეკლესიებიდან ერთ-ერთია, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ქალაქის სომხური სათვისტომოს მთავარი ეკლესია იყო და ახლაც საქართველოში სომეხთა სამოციქულო წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის საკათედრო ტაძარია. მის ეზოში დაკრძალული არიან ეთნიკურად სომეხი საზოგადო მოღვაწეები, მათ შორის - საიათნოვა[12].

ეკლესია სურბ გევორგის ანუ წმ. გიორგის სახელობის გახდა 1938 წლიდან, როდესაც ამ ეკლესიაში დაფუძნდა საქართველოში სომხური სამოციქულო ეკლესიის საკათედრო ტაძარი. XX საუკუნის მანძილზე ძეგლი რამდენჯერმე შეკეთდა.

[12] იხ.: სტატია - „სურბ ეჩმიაძინისა და სურბ გევორგის ტაძრების რესტავრაციის შემდეგ სომეხთა სამოციქულო ეკლესია მათ საკუთრებაში გადაცემას ელის“ http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18598&lang=geo

„სურბ გევორგის“ საკათედრო ტაძრის უკანასკნელი რესტავრაცია-რეაბილიტაცია 2012 წელს დაიწყო. საპროექტო-კვლევითი სამუშაოები და რეაბილიტაცია ეტაპობრივად ხორციელდებოდა. დღეისათვის სარესტავრაციო სამუშაოები, ფაქტობრივად, დასრულებულია. 2010 წელს სომეხთა სამოციქულო წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის დაკვეთით, შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტის“ მიერ ჩატარდა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა, 2012 წლის მანძილზე შედგა კონსტრუქციული გამაგრების, ფასადებისა და ინტერიერის კედლების რეაბილიტაციის პროექტი. შემდგომ წლებში კი ჩატარდა ფიზიკური სამუშაოები, რომლის დასრულებაც 2015 წელს საზეიმოდ აღინიშნა.

სურბ გევორგის ეკლესია

სომეხთა სამოციქულო წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის ინფორმაციით, საჭირო იყო ეკლესიის სასწრაფო რესტავრაცია, რომელიც 2013-2015 წლებში, საქართველოში სომეხთა ეპარქიის წინამძღვრის, ეპისკოპოს ვაზგენ მირზახანიანისა და ცნობილი ბიზნესმენის რუბენ ვარდანიანის ინიციატივით განხორციელდა. ამასთან, დაარსდა სურბ გევორგის ეკლესიის რესტავრაციის ფონდი, რომლის შევსებაშიც მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ქველმოქმედმა. მათი გვარები ამოტვიფრულია ტაძრის კარიბჭესთან, კედელზე. სამუშაოების დასაწყისში მომზადდა შენობის ფუნდამენტის, კედლების, სახურავისა და გუმბათის გამაგრების

შესაბამისი პროექტები. ეკლესიის გამაგრების, სახურავისა და კედლების აღდგენითი სამუშაოები სომეხი და ქართველი სპეციალისტების თანამშრომლობით განხორციელდა. ძირითადი სამშენებლო სამუშაოები სპეციალიზებულმა ორგანიზაციამ, შპს „მღვიმემ“ ჩაატარა. სურბ გევორგის რესტავრაციაში მონაწილეობდა „ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდი”

სომეხთა სამოციქულო წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის სამართლებრივ საკითხთა და თანამშრომლობის სამსახურის უფროსის, მიხეილ ავაქიანის თქმით, „სურბ გევორგის“ ტაძრის უნიკალური ფრესკები კომუნისტების პერიოდში მთლიანად საღებავით იყო გადაღებილი. შემორჩენილი იყო მხოლოდ ფრესკათა მცირე ნაწილი. 2013-2015 წლებში, სარეაბილიტაციო სამუშაოების პარალელურად, სომხეთის ფრესკების სარესტავრაციო სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა და იტალიელმა რესტავრატორმა ეკლესიის ფრესკები გაწმინდეს და შეისწავლეს. სამშენებლო სამუშაოებთან ერთად, ფრესკების რესტავრაციაც დასრულდა[13].

❖ სურბ ეჩმიაძინის ეკლესია

თბილისში ამჟამად მოქმედი ორი სომხური ეკლესიიდან ერთ-ერთი ავლაბარში მდებარე სურბ ეჩმიაძინის ტაძარია. სურბ ეჩმიაძინის ტაძარი 1805 წელს აშენდა სოფელ ეჩმიაძინიდან გადმოსახლებული სომეხი მოსახლეობის მიერ. იგი თავდაპირველად მომცრო ზომის ყოფილა პატარა სამრეკლოთი და ხის გადახურვით. 1846 წელს მოხდა შენობის სერიოზული რეკონსტრუქცია და მას გუმბათიც დაედგა. 1898 წლისთვის შენობა მეტად სავალალო მდგომარეობაში ყოფილა და საჭიროებდა სარესტავრაციო სამუშაოებს, რომელიც 1912 წელს ჩაუტარდა. 1944-45 წლებში შიდა სამუშაოებია ჩატარებული. 2005-06 წლებში სომხეთის რესპუბლიკის „მოშენებისა და მომსახურების სამეცნიერო-საწარმოო ცენტრის“ მიერ მომზადდა საკმაოდ კვალიფიციური საპროექტო დოკუმენტაცია, რომელშიც ქართველი სპეციალისტებიც იყვნენ ჩართულნი. საბოლოოდ, სავალალო მდგომარეობაში მყოფი ძეგლის საფუძვლიანი გამაგრება-რეაბილიტაცია განახორციელა შპს „მღვიმემ“.

[13] სტატია - „სურბ ეჩმიაძინისა და სურბ გევორგის ტაძრების რესტავრაციის შემდეგ სომეხთა სამოციქულო ეკლესია მათ საკუთრებაში გადაცემას ელის“
http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18598&lang=geo

სურბ ეჩმიაძინის ეკლესია

საქართველოში სომეხთა სამოციქულო წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის რამდენიმე ათეული მოქმედი ტაძარია, პატარა სამლოცველოების ჩათვლით. 1930-იან წლებამდე ტაძრები სომეხი მრევლის საკუთრებაში იყო, შემდეგ კი კომუნისტურმა მთავრობამ ჩამოართვა, როგორც სხვა კონფესიებს. მხოლოდ თბილისის ორ ტაძარში - სურბ ეჩმიაძინისა და სურბ გევორგის ტაძრებში შენარჩუნდა წირვა-ლოცვა. დღესდღეობით თბილისში მხოლოდ ეს ორი ტაძარია მოქმედი. ორივეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული. მთავარ პრობლემად რჩება საკუთრების საკითხი - სომეხთა სამოციქულო ეპარქიას ტაძრები სარგებლობის უფლებითაც არ გადასცემია.

სომეხთა სამოციქულო წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის გაცხადებით, ბოლო წლების განმავლობაში რელიგიის სახელმწიფო სააგენტოს მხრიდან გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლებისთვის (მუსლიმები, ებრაელთა თემი) საკულტო ნაგებობების სარგებლობაში გადაცემის მიმართულებით. თუმცა, სომეხთა სამოციქულო წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიას დღემდე არ დაბრუნებია არცერთი ეკლესია, რომელიც მრევლს საბჭოთა ხელისუფლებამ ჩამოართვა. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს განცხადებით, 2014 წლის დეკემბრის თვეში სომეხთა სამოციქულო წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიამ მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრს და მოითხოვა

საქართველოში მდებარე 442 ტაძრის მის სარგებლობაში გადაცემა. საკითხი განსახილველად გადაეცა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს, რომელმაც განმცხადებელს მოსთხოვა კონკრეტული დოკუმენტების წარდგენა. 2015 წლის სექტემბერში სააგენტომ აღნიშნული 442 ტაძრიდან მხოლოდ 20 ტაძრის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მიიღო განაცხადი. განხილვა დღემდე არ დასრულებულა.

საქართველოს საპატრიარქოს მდივნის, მამა მიქაელის (ბოტკოველი) განცხადებით, სომეხთა სამოციქულო წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის მოთხოვნები არარეალურია, როცა 600-მდე ტაძარი ცხადდება სომეხთა ეკლესიის ისტორიულ კუთვნილებად. აღნიშნული ართულებს დიალოგს, მაგრამ საპატრიარქო მომხრეა, ყველა სადავო საკითხი დიალოგის რეჟიმში გადაწყდეს.

სახალხო დამცველი 2014 წლის საპარლამენტო ანგარიშში საკითხის მოსაგვარებლად იძლევა რეკომენდაციას, შეიქმნას ე.წ. რესტიტუციის საკითხთა შემსწავლელი კომისია, რომელშიც ჩართულები იქნებიან სახალხო დამცველი, რელიგიური და არასამთავრობო ორგანიზაციები[14].

ადამიანის უფლებათა ცენტრი მიიჩნევს, რომ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ უმოკლეს ვადებში უნდა გასცეს დადებითი რეკომენდაცია სურბ ეჩმიაძინისა და სურბ გევორგის ტაძრების სომეხთა სამოციქულო წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

სხვა სადავო ეკლესიების საკითხი, ასევე, მოითხოვს კვალიფიციურ და დროულ გადაწყვეტას, რაც გულისხმობს, როგორც კონსტრუქციული მოლაპარაკების პროცესს უშუალოდ ეკლესიებს შორის, ასევე სახელმწიფოს ნეიტრალურ მონაწილეობას საკითხის გადაწყვეტაში, ისტორიკოსებისა და სხვა სპეციალობის ექსპერტების ჩართულობით.

[14] იხ.: „საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2014 წელი“, გვ 450

კათოლიკეთა მემკვიდრეობა

- „წართმეული საკუთრება“

დღესდღეობით, საქართველოში ხუთი ისტორიული ტაძარია, რომელთაც კათოლიკური ეკლესია თავის საკუთრებად მიიჩნევს, მაგრამ ხუთივე ტაძარი საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საკუთრებაა. ესენია: ქუთაისის, გორის, ბათუმის, ივლიტასა (ახალციხის მუნიციპალიტეტი) და უდეს (ადიგენის მუნიციპალიტეტი) ეკლესიები.

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები აღნიშნულ საკითხებზე სასაუბროდ შეხვდნენ ამიერკავკასიის ლათინ-კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრაციის კანცელარიის გამგეს მამა აკაკი ჭელიძეს. მან კათოლიკური ეკლესიის უმთავრეს პრობლემად სწორედ აღნიშნულ ტაძრებზე „წართმეული საკუთრება“ და ასევე, ზოგიერთ ეკლესიაში კათოლიკური კვალის მიზანმიმართული წაშლა დაასახელა.

გორის ღვთისმშობლის ეკლესიაში[15] ე.წ. განახლების სამუშაოები 25 წლის განმავლობაში მუდმივად მიმდინარეობდა, მაგრამ კათოლიკეთა პროტესტის შედეგად დროებით ჩერდებოდა, მცირე დროის შემდეგ კი კვლავ გრძელდებოდა. რამდენიმე წლის წინ ჩატარდა გორის ტაძრის რესტავრაცია. მამა აკაკი ჭელიძის განცხადებით, რესტავრაციისას მთლიანად ჩამოიფხიკა კათოლიკური ფრესკები, მათი ადგილი დაიკავა ბერძნული ყაიდის ფრესკებმა, რამაც შიდა ფასადზე სრულიად წაშალა კათოლიკური კონფესიის კვალი. ეკლესიის გარეგნული იერსახე დამახინჯდა სამრეკლოს მიშენებით. გუმბათზე არსებული ძველი ჯვარი შეიცვალა ახლით. აიღეს კათოლიკე მღვდლის საფლავის ქვა და მის ადგილას დადგეს ახალი ქვა განსხვავებული შინაარსის წარწერით. ეკლესიის ძველი იატაკი სრულიად შეიცვალა მარმარილოს იატაკით, რის გამოც მთლიანად წაიშალა ისტორიული ფასეულობის მქონე მასალა. ჯერჯერობით არ შეუცვლიათ ეკლესიის გუმბათი.

ლათინ-კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრაციის აზრით, **ივლიტას ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიას**[16] დღეისათვის ესაჭიროება განახლება. ჭერი ერთ ადგილას ჩამოინგრა. კათოლიკეები მზად იყვნენ, გამოეცვალათ სახურავი, რაც არ მოხერხდა. იატაკი მთლიანად დაიფარა ბეტონით, რამაც მოიყოლა იქ არსებული საფლავები. ივლიტას ეკლესია იმითაა ცნობილი, რომ აქ კვირა დღეს რამდენიმე

[15] კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა 2008 წლის 3 აპრილს, კულტურის მინისტრის № 3/36 ბრძანებით

[16] კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა 2012 წლის 20 მარტის, კულტურის მინისტრის № 3/86 ბრძანებით

საათი კათოლიკეებს გამოეყოფათ სალოცავად, მაგრამ კათოლიკე მღვდელს მათთან ერთად ლოცვის უფლება არა აქვს. ისინი ლოცვას დათქმულ საათზე ამთავრებენ და ამის შემდეგ იწყება წირვა მართლმადიდებლური წესით.

რაც შეეხება **უდეს ღვთისმშობლის სახელობის ტაძარს**[17], 2012 წელს ადგილობრივმა მართლმადიდებელმა წინამძღოლმა, თვითნებურად, ყოველგვარი ნებართვის გარეშე დაიწყო უდის ეკლესიაზე გუმბათის გამოცვლა იმ საბაბით, რომ ჭერი დაზიანდა და საჭიროებდა სასწრაფო რეაბილიტაციას. ადგილობრივმა კათოლიკეებმა გუმბათზე დადგმული ხარაჩოების ფორმით მაშინვე შეამჩნიეს, რომ მიმდინარეობდა უდის ეკლესიის ე.წ. სოლისებური გადახურვა, რაც არაა დამახასიათებელი კათოლიკური ეკლესიებისათვის. კათოლიკეთა პროტესტის შედეგად, საქმეში ჩაერთო კულტურის სამინისტრო, რის შედეგადაც ეკლესია გადაიხურა ეკლექტური გუმბათით. აღნიშნულ ინფორმაციას ადასტურებს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრიც[18].

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ჯგუფმა გასვლითი ვიზიტისას შეისწავლა ბათუმის ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძრისა და ქუთაისის ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის მდგომარეობა, ასევე მოახდინა მათი ფოტო/ვიდეო დოკუმენტირება[19].

- **ქუთაისის ღვთისმშობლის ხარების სახელობის ეკლესია**

ქუთაისის ღვთისმშობლის სახელობის ყოფილი კათოლიკური ეკლესიის[20] მშენებლობა 1820 წელს დაიწყო, მაგრამ საქართველოდან კათოლიკე მისიონერთა განდევნის გამო მშენებლობა დროებით შეწყდა და მოგვიანებით გაგრძელდა. საბოლოოდ, იგი 1862 წელს აკურთხეს. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 12 აპრილის #183 დადგენილებით, შენობა გადაეცა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ, მართლმადიდებელ ეკლესიას და „ხარების“ სახელობის გახდა.

---

[17] კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა 2006 წლის 30 მარტის მინისტრის № 3/133 ბრძანებით

[18] სტატია - „ისტორიულ კათოლიკურ ტაძარს იერ–სახეს უცვლიან“ http://tolerantoba.ge/index.php?news_id=293

[19] მონიტორინგის შედეგები იხილეთ ქვემოთ

[20] კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა 2006 წლის 30 მარტის, მინისტრის № 3/133 ბრძანებით

ქუთაისის ღვთისმშობლის ხარების სახელობის ეკლესია

დღეისათვის, ქუთაისის ღვთისმშობლის ხარების სახელობის ეკლესია რეგისტრირებულია საქართველოს საპატრიარქოს საკუთრებაში. კათოლიკეები აცხადებენ, რომ ეკლესია მათ, ფაქტობრივად, წაართვეს.

კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტის შეფასებით, საკმაოდ დიდი ზომის გუმბათიანი ეკლესია ფსევდორენესანსულ სტილშია აგებული, რაც მკაფიოდ მიუთითებს მის წარმომავლობაზე. რენესანსული სტილი დამახასიათებელია კათოლიკური ეკლესიებისთვის, მაშინ, როდესაც აღმოსავლეთის ეკლესიებში რენესანსის ჩანასახიც კი არ ჩანს.

პირველადი დათვალიერებით აშკარაა, რომ გამოსაცვლელია სახურავი. ინტერიერში ხშირად ჩადის წვიმის წყალი, შენობაში დაწყებულია საღებავის აქერცვლა. ძეგლი საჭიროებს მცირე სარესტავრაციო სამუშაოებს, რომელთა ჩატარება, ადამიანის უფლებათა ცენტრის ინფორმაციით, ახლო მომავალში არ იგეგმება.

„ქუთაისის ეკლესიაში, ერთი შეხედვით, არ აღინიშნება ცვლილებები. ძველი ორღანი მართლმადიდებლებმა ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში გადააგდეს. სააღმსარებლოები დღეს სანთლების გასაყიდ ჯიხურებად გამოიყენება. ეკლესიის ფასადზე გაჩნდა წარწერა, რომ ძველ დროში ამ ადგილას ყოფილა მართლმადიდებლური ეკლესია, რომელიც კათოლიკეებს დაუნგრევიათ და აუშენებიათ ახალი ეკლესია. ეს არის ისტორიული ფარსი, რითაც ცდილობენ,

გაამართლონ კათოლიკეებისათვის საკუთრების წართმევა“, - განუცხადა ადამიანის უფლებათა ცენტრს ამიერკავკასიის ლათინ-კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრაციის კანცელარიის გამგემ, მამა აკაკი ჭელიძემ[21].

2000 წელს დასავლეთ საქართველოს კათოლიკურმა მრევლმა საბჭოთა კავშირის დროს ქუთაისში ჩამორთმეული ეკლესიის დასაბრუნებლად დააფუძნა კავშირი „სავარდი“. 2001 წლის 21 დეკემბერს კავშირმა საქართველოს პრეზიდენტის მიერ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის მოთხოვნით თბილისის საოლქო სასამართლოს სარჩელით მიმართა. სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა და განმარტა, რომ სადავო ნაგებობა 1990 წლიდან მართლმადიდებელ ეკლესიას გადაეცა, ხოლო 2002 წლის კონსტიტუციური შეთანხმების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საპატრიარქოს საკუთრებას წარმოადგენს. დამატებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ კავშირი „სავარდი“ არ წარმოადგენდა კათოლიკე ეკლესიის სამართალმემკვიდრეს. ამიერკავკასიაში კათოლიკე ეკლესიის სამოციქულო ადმინისტრატორის, მონსინიორ ჯუზეპე პაზოტოს წერილი ადასტურებს, რომ „სავარდი“ იყო რომის წმინდა საყდრის მიერ აღიარებული წარსულში მოქმედი კათოლიკე რელიგიური გაერთიანებების ერთადერთი მემკვიდრე ორგანიზაცია. აღნიშნული მტკიცებულება სასამართლომ უგულებელყო როგორც გაურკვეველი სამართლებრივი სტატუსის მქონე, იმ მიზეზით, რომ საქართველოში ვატიკანის წარმომადგენლობას არ მოუხდენია ამ ინსტიტუტების ლეგიტიმაცია[22].

კათოლიკური ეკლესიის დიაკვნის, კოტე ოცხელის განცხადებით, სასამართლო პროცესზე კათოლიკეების მიერ წარდგენილი არანაირი მტკიცებულება არ გაითვალისწინეს. კათოლიკეებს შეეძლოთ, მიემართათ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის, მაგრამ ვატიკანის მაშინდელმა ელჩმა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან სიტუაციის დაძაბვა მათ არ ურჩია[23].

---

[21] იხ.: სტატია - „ქუთაისის ღვთისმშობლის ხარების ეკლესიის კუთვნილების საკითხი ისევ გადაუჭრელია“ http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18602&lang=geo

[22] ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის „რელიგიური დისკრიმინაციისა და კოსტიტუციური სეკულარიზმის კვლევა საქართველოში“, გვ 45 http://www.tdi.ge/sites/default/files/religiuri-diskriminaciisa-da-konstituciuri-sekularizmis-kvleva.pdf

[23] ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის „რელიგიურ გაერთიანებათა საჭიროებების კვლევა საქართველოში“ გვ 28

ქუთაისის ღვთისმშობლის ხარების სახელობის ტაძრის ინტერიერი

❖ ბათუმის ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარი

XIX საუკუნის მიწურულისთვის ბათუმსა და მის შემოგარენში მესხეთიდან გადმოსახლებულ ქართველ კათოლიკეთა საკმაო ნაწილმა მოიყარა თავი და ამან განაპირობა ეკლესიის აშენების აუცილებლობა. მშენებლობისთვის საჭირო თანხა გაიღო ცნობილმა ქართველმა მეწარმემ და მეცენატმა სტეფანე ზუბალაშვილმა, რომელმაც დედისადმი მიცემული დაპირება შეასრულა. სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობდა 1898-1902 წლებში და იგი იმ დროის ბათუმის ყველაზე გრანდიოზული და სანახაობრივი ნაგებობა იყო, როგორც თავისი მასშტაბურობით, ისე არქიტექტურულ-მხატვრული ღირებულების მხრივაც.

1937 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ ტაძარი დახურა და შიგნით მაღალი ძაბვის ქვესადგური მოაწყო. მსგავსი ისტორია ასახულია თენგიზ აბულაძის ცნობილ მხატვრულ ფილმში „მონანიება“.

აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 15 მარტის #250-ე დადგენილებით, ეკლესია საქართველოს საპატრიარქოს გადაეცა.

შენობა ვიზუალურად კარგ მდგომარეობაშია, მაგრამ ინტერიერში, დასავლეთ პატრონიკეს ნაწილში, ძლიერაა დაზიანებული კედლის მხატვრობა, რაც

განპირობებულია დაზიანებული სახურავიდან ნალექის ინტენსიური ჩადინებით. კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტის შეფასებით, აუცილებელია სახურავის გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები და ფრესკების გამაგრება-კონსერვაცია.

ბათუმის ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარი

საქართველოს საპატრიარქოს მდივანმა, მამა მიქაელმა (ბოტკოველი) ადამიანის უფლებათა ცენტრთან საუბრისას დაადასტურა, რომ ბათუმისა და ქუთაისის ტაძრები არქიტექტურული იერსახით მართლაც კათოლიკურია, მაგრამ მათი კუთვნილების საკითხი მარტო ამ ნიშნის მიხედვით არ უნდა გადაწყდეს. გასათვალისწინებელია, ისტორიული, არქეოლოგიური და სხვა სახის გარემოებები, რომელთა გარშემოც საჭიროა დიალოგი. უნდა შეიქმნას ორმხრივი კომისია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ როგორც სასულიერო პირები, ისე მეცნიერები[24].

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, არჩილ მეტრეველმა ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებთან საუბრისას განაცხადა, რომ სადავო ტაძრებთან დაკავშირებით კათოლიკურ ეკლესიას რელიგიის საკითხთა სახელმწიფო კომისიისთვის არასდროს მიუმართავს. იმისათვის, რომ შესაბამისმა კომისიამ განიხილოს სადავო ეკლესიების

[24] იხ.: მამა მიქაელთან ინტერვიუ: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18635&lang=geo

კუთვნილების საკითხი აუცილებელია, შესაბამისმა რელიგიური კონფესიის წარმომადგენლებმა კომისიას მიმართონ[25].

ბათუმის ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძრის ინტერიერი

[25] იხ.: არჩილ მეტრეველთან ინტერვიუ:
http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18640&lang=geo

მუსლიმთა კულტურული მემკვიდრეობა - სამცხე-ჯავახეთის მეჩეთები

მუსლიმთა საკულტო, სალოცავი და საქადაგებელი სახლები - მეჩეთები მდებარეობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ზოგიერთი სახელმწიფოს, ზოგიერთი კი კერძო პირების საკუთრებაშია. საქართველოში მდებარე მეჩეთების ნაწილი ისტორიულია და მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი. 2012 წელს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანებით, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი დამატებით მიენიჭა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებულ 24 მეჩეთს[26].

მრავალი მეჩეთი მდებარეობს სამცხე-ჯავახეთში. ამ ეტაპზე სამცხე-ჯავახეთში მხოლოდ მირაშხანის მეჩეთია მუსლიმთა სამმართველოს სარგებლობაში. დანარჩენი მეჩეთები ან ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაშია, ან ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოს, ან ზოგიერთი ფიზიკური პირის კერძო საკუთრებაში. ზოგიერთ მეჩეთს ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული, ზოგიერთი დღესაც კლუბად რჩება, ზოგიერთი კი საქონლის სადგომად და თივის შესანახად გამოიყენება. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული თემა ქართველი მუსლიმებისათვის[27].

პროექტის ფარგლებში ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებმა მოინახულეს სამცხე-ჯავახეთში მდებარე სამი მეჩეთი, ესენია: სოფელ საყუნეთის[28], სოფელ ადიგენისა[29] და სოფელ ფლატის[30] მეჩეთები.

❖ ადიგენისა და ფლატის ისტორიული მეჩეთები

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ჯგუფის მიერ მონახულებული მეჩეთებიდან ყველაზე ძველია სოფელ ადიგენის მეჩეთი, რომელიც კედელზე არსებული არაბული წარწერის თანახმად, აშენებულია 1885-86 წლებში. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს შესასვლელი კარისა და მიჰრაბის გაფორმება, სადაც, თითქოს, გამოყენებულია ქართული ხალხური არქიტექტურისთვის დამახასიათებელი ორნამენტიკა.

---

[26] კულტურის მინისტრის ბრძანება #3/86 – 20.03.2012 წ. იხ.: http://culture.gov.ge/getattachment/ContentMenu/CulturalHeritage/Orders/2015-%283%29/1332928029.pdf.aspx

[27] იხ.: სტატია- „ადიგენისა და ფლატის ისტორიული მეჩეთები დანგრევის პირასაა“ http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18613&lang=geo

[28] მდებარეობს ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ საყუნეთში;

[29] მდებარეობს ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ადიგენში;

[30] მდებარეობს ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლატეში.

მეჩეთიდან რამდენიმე მეტრში რკინის დიდი ჯვარი დგას, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ სოფელში ამჟამად მართლმადიდებლებიც ცხოვრობენ. მუსლიმებმა ადამიანის უფლებათა ცენტრს აცნობეს, რომ მართლმადიდებელ გლეხებს ისტორიული მეჩეთის ეკლესიად გადაკეთება უნდოდათ, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრეს და ჯვრით ოდნავ მოშორებით მონიშნეს ადგილი, სადაც ახალი ეკლესიის აშენებას გეგმავენ[31].

დღეს ადიგენის მეჩეთის მხოლოდ კედლებია შემორჩენილი. ძლიერი დაზიანების მიუხედავად, შენობას კონსტრუქციული სიმყარე არ დაუკარგავს. კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტის შეფასებით, შემორჩენილი ნანგრევები იძლევა საშუალებას, შედგეს სრული ან ნაწილობრივი რესტავრაციისა და კონსერვაციის პროექტი.

მეჩეთი სოფელ ადიგენში

ფლატის მეჩეთი წარწერის მიხედვით 1927 წელსაა აგებული. საყუნეთისა და ადიგენის მეჩეთებისგან განსხვავდება იმით, რომ ჩრდილოეთის შესასვლელი კარის მარჯვენა კუთხეში აქვს შვერილი კოშკურა, რომელიც მახფილზე ადიოდა და შესაძლოა, მინარეთის ფუნქციასაც ასრულებდა. დღეისათვის ფლატის მეჩეთი სავალალო მდგომარეობაშია. ჭერი ჩამოქცეულია და გადახურვის ხის ნაშთები ჯერ

[31] სტატია- „ადიგენისა და ფლატის ისტორიული მეჩეთები დანგრევის პირასაა“ http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18613&lang=geo

კიდევ ნაგებობაშია ჩაყრილი. არსებობს მეჩეთის განადგურებისა და დანგრევის რეალური საფრთხე. ადგილობრივი მუსლიმები ითხოვენ ძეგლის რეაბილიტაციას და მის შესანარჩუნებლად საჭირო სამუშაოების შესრულებას. ფლატის დაზიანებული შენობის აღდგენასა და რესტავრაციას ადგილობრივი მართლმადიდებლების ნაწილიც ითხოვს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი წინააღმდეგი არიან, შენობამ მეჩეთად იფუნქციონიროს. მართლმადიდებლები აცხადებენ, რომ დაზიანებული მეჩეთიდან ქვები ცვივა და შესაძლოა, ვინმე იმსხვერპლოს. ამდენად, აუცილებელია მისი გამაგრება და აღდგენა.

მუსლიმური თემისგან მიღებული ინფორმაციით, ისტორიული მეჩეთის დაზიანებას ორგანიზება გაუწია ზარზმის მონასტრის წინამძღვარმა, ნიკოლოზ გეწაძემ, სამშენებლო მასალა კი ზარზმის მონასტრის დამხმარე ნაგებობების საშენ მასალად იქნა გამოყენებული. აღნიშნულ საკითხზე საუბარია სახალხო დამცველის 2008 წლის ანგარიშშიც[32].

ფლატის მეჩეთის განზრახ დაზიანების ფაქტზე ყურადღება გამახვილებულია ადამიანის უფლებათა ცენტრის ანგარიშშიც - „რელიგიური თავისუფლება საქართველოში“[33]. 2014 წლის 17 დეკემბერს ადამიანის უფლებათა ცენტრმა განცხადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას და მოითხოვა გამოძიების დაწყება სოფელ ფლატეში არსებული ისტორიული მეჩეთის, სავარაუდოდ, განზრახ დაზიანების ფაქტთან დაკავშირებით. ორგანიზაციამ ფაქტების შესწავლა და დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მიცემა მოითხოვა. თუმცა, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ საქმე გამოსაძიებლად ადიგენის რაიონის პოლიციის სამმართველოს გადასცა. ფლატის მეჩეთის დაზიანების ფაქტი სახელმწიფოსგან დღემდე რეაგირების გარეშე რჩება. გამოძიება აღნიშნულ საქმეზე 2014 წლის დეკემბერში შეწყდა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის, ალეკო ცქიტიშვილის შეფასებით, მაჰმადიანი მესხების მიერ აშენებულ ამ ისტორიულ ნაგებობას, ერთი მხრივ, მოუვლელობის გამო ელის დანგრევა, მეორე მხრივ კი საფრთხე ჩნდება იმ ფობიებისგან, რასაც მართლმადიდებელი ეკლესიის ზოგიერთი ადგილობრივი მოძღვარი ქადაგებს. ისინი მრევლს ჩააგონებენ, რომ „მუსლიმი

---

[32] გვ. 63; სახალხო დამცველის 2008 წლის ანგარიში - http://ombudsman.ge/uploads/other/1/1702.pdf

[33] ადამიანის უფლებათა ცენტრის ანგარიში „რელიგიის თავისუფლება საქართველოში პრობლემები, რეკომენდაციები“- http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98_%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%9D.pdf

ქართველი არ არის“, „მეჩეთი დანგრეული ეკლესიების ქვებით არის აშენებული“[34]. პროექტის ფარგლებში განხორციელებული მედიატურის დროს ფლატისა და ადიგენის მაცხოვრებლებმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადეს, რომ პერიოდულად განიხილება ამ მეჩეთების გადაკეთება ან დანგრევა და ქვების გამოყენება ახალი ეკლესიების ასაშენებლად. მსგავსი აგრესია შემაშფოთებელია და ერთი მხრივ, სახელმწიფოსგან, მეორე მხრივ კი, საქართველოს საპატრიარქოსგან აუცილებელია შესაბამისი რეაგირება.

მეჩეთის გადარჩენის ერთ-ერთი გზა მისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭება იყო, რის შემდეგაც ხელისუფლებას და საზოგადოებას მისი დაცვის ვალდებულება დაეკისრებოდა. აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ცენტრმა 2016 წლის 8 იანვარს განახორციელა ადვოკატირება სოფელ ფლატესა და ადიგენში მდებარე მეჩეთებისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების მიზნით. საკითხი კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ განსახილველად გადასცა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს. კანონმდებლობის შესაბამისად, 2016 წლის 2 თებერვალს გაიმართა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო, რომელმაც მიიღო დასკვნა ფლატისა და ადიგენის მეჩეთებისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე. 2016 წლის 8 თებერვალს კი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ბრძანებით (#2/24), ფლატისა და ადიგენის მეჩეთებს მიანიჭა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

სოფელ ფლატესა და სოფელ ადიგენში მდებარე მეჩეთებისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭება უზრუნველყოფს მათ უკეთესად დაცვას, რადგან კანონი ამგვარი ძეგლების დაცვის მაღალ სტანდარტებს აწესებს[35].

[34] იხ.: სტატია - „ადიგენისა და ფლატის ისტორიული მეჩეთები დანგრევის პირასაა“ http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18613&lang=geo

[35] „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონი

მეჩეთი სოფელ ფლატეში

❖ **სოფელ საყუნეთის მეჩეთი**

სოფელ საყუნეთში მეჩეთი მდებარეობს მართლმადიდებლური ეკლესიის გვერდით. წარწერის მიხედვით მეჩეთი 1927 წელსაა აგებული და შემორჩენილია სრულად. ჭერი დამუშავებულია ხეში ნაკვეთი ორნამენტებით, გუმბათის სფერო მოხატულია. ჩრდილოეთის კედელს მთელ სიგანეზე მახფილი გასდევს და მასზე ასასვლელი კიბეც შიგნიდანაა აშენებული.

აღნიშნული მეჩეთი წარსულში მაჰმადიან მესხებს ეკუთვნოდა. გასული საუკუნის 40-იან წლებში საყუნეთელი მესხები სტალინურმა რეჟიმმა შუა აზიაში გადაასახლა, როგორც „არასანდო ელემენტები“. მას შემდეგ საყუნეთის მეჩეთმა სარიტუალო ფუნქცია დაკარგა და მას სხვადასხვა საყოფაცხოვრებო მიზნით იყენებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ საყუნეთის მეჩეთს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს, მიმდებარე ტერიტორიაზე ძეგლის აღმნიშვნელი ბანერი არ დგას და არც მისი რესტავრაცია განხორციელებულა[36]. შენობის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში შეიმჩნევა ბზარები. კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტის შეფასებით, საყუნეთის მეჩეთის შესანარჩუნებლად ჩასატარებელია შემდეგი

[36] სიუჟეტი - „რა მდგომარეობაა სამცხე-ჯავახეთში არსებულ მეჩეთებში - ნაგებობები გადაუდებელ რესტავრაციას საჭიროებს“ http://1tv.ge/ge/news/view/110731.html

სარეაბილიტაციო სამუშაოები: სახურავის გამოცვლა, ბზარების ამოვსება, ინტერიერის გაწმენდითი და საკონსერვაციო სამუშაოები, რისთვისაც აუცილებელია შესაბამისი პროექტის მომზადება.

საყუნეთის მეჩეთის გუმბათის შიდა მოხატულობა

დღეისათვის მეჩეთი მიტოვებულია და მისი დაცვა სახელმწიფოს მხრიდან სათანადოდ არ ხდება. მეჩეთის მეზობლად მცხოვრები ქალბატონი წლების მანძილზე უანგაროდ უვლიდა მას და პერიოდულად ასუფთავებდა. მას შემდეგ, რაც ჟურნალისტებმა ამის შესახებ სტატია[37] მოამზადეს და მისი მუშაობა ტოლერანტობის გამოვლინების კარგ მაგალითად შეაფასეს, ქალბატონს უსაყვედურეს დაუდგენელმა პირებმა, სავარაუდოდ - ადგილობრივი სახელმწიფო სტრუქტურებიდან ან სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლებმა. მათ სიძულვილის ენა გამოიყენეს და უთხრეს, რომ არ იყო საჭირო „თათრების სალოცავის“ მოვლა-პატრონობა.

[37] ფოტოპროექტი: მიტოვებული მეჩეთის ერთადერთი მომვლელი ქრისტიანი ქალი http://sknews.ge/index.php?newsid=6879#.VqtXrvl97cs

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, ეს არის კიდევ ერთი ფაქტი, როდესაც სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები ნეგატიურ როლს ასრულებენ ადგილობრივ თემებში რელიგიური უმცირესობების მიმართ განწყობების ჩამოყალიბებისას. საზოგადოებაში ფობიები და აგრესიული განწყობები ხშირად სწორედ სახელმწიფოს ადმინისტრაციის წარმომადგენლების წაქეზებით ჩნდება. პირიქით კი უნდა ხდებოდეს - სახელმწიფო უნდა მუშაობდეს, რომ, ერთი მხრივ, უპატრონოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, მათ შორის - რელიგიურ უმცირესობათა ისტორიულ საკულტო ნაგებობებს და, მეორე მხრივ, წაახალისოს ის ადამიანები, რომლებიც ენთუზიაზმით უვლიან ამ სალოცავებს.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მიიჩნევს, რომ სამცხე-ჯავახეთში არსებული ისტორიული მეჩეთების მოვლა-პატრონობა, უპირველესად, სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა. ხელისუფლებამ უნდა გაატაროს ქმედითი ზომები, რათა თავიდან ავიცილოთ ამ ძეგლების მიზანმიმართული დაზიანება და განადგურება (არა აქვს მნიშვნელობა, ძეგლის სტატუსი ოფიციალურად აქვს თუ არა მინიჭებული).

შემაშფოთებელია, რომ ზოგჯერ ძეგლების დაზიანება და ნგრევა ხდება მიზანმიმართულად, როგორც ეს მოხდა ფლატის მეჩეთის შემთხვევაში, როცა ფლატის მეჩეთის პერანგის ქვები გადაიტანეს ზარზმის მონასტრის ტერიტორიაზე. ზოგჯერ, ძეგლების დაზიანება განპირობებულია ელემენტარული უცოდინრობით, კულტურული მემკვიდრეობის მაღალი მნიშვნელობის შეუფასებლობითა და დაუფასებლობით, რის გამოც საზოგადოება არ მიიჩნევს თავს მოვალედ, უპატრონოს და მოუაროს ამ საუნჯეს. საბოლოო ჯამში კი ყველაფერი მაინც თავს იყრის სახელმწიფოს პასუხისმგებლობასთან.

ხელისუფლებამ უნდა გაატაროს ზომები, ადმინისტრაციული თუ სისხლის სამართლის წესით, რათა არ ხდებოდეს ამ ძეგლების მიზანმიმართული დაზიანება და განადგურება; ხელისუფლება უნდა იყოს დაინტერესებული, იმ ძეგლებს, რომლებსაც ოფიციალურად არა აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, ეს სტატუსი მიენიჭოს, რათა ამ გზით უფრო გარანტირებული იყოს მათი დაცვა და მოვლა-პატრონობა; ხელისუფლება უნდა იყოს დაინტერესებული, საზოგადოება მეტად იყოს ინფორმირებული, რა სიმდიდრის მფლობელია.

რელიგიური უმცირესობებისათვის საკულტო ნაგებობების დაბრუნება

საბჭოთა დროს ჩამორთმეული ქონების რესტიტუცია საქართველოში რელიგიურ უმცირესობათა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. დოკუმენტირების შედეგად აღმოჩნდა, რომ სომეხთა სამოციქულო წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქია და კათოლიკე ეკლესია დიდი ხანია, საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული საკულტო ნაგებობებისა და სხვა ქონების დაბრუნებას სხვადასხვა მიზეზით ვერ ახერხებს.

დღეისათვის ე.წ „სადავო ტაძრებს“ წარმოადგენს თბილისში მდებარე რამდენიმე ტაძარი, რომელსაც სომეხთა სამოციქულო წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქია თავის საკუთრებად მიიჩნევს და საქართველოში მდებარე ხუთი ყოფილი კათოლიკური ტაძარი, რომლებსაც კათოლიკეები თავიანთ კულტურულ მემკვიდრეობად თვლიან. საკუთრების დაბრუნების პრობლემატიკა განხილულია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და შრომის საკითხების ბიუროს 2010 წლის ანგარიშში - „რელიგიის საერთაშორისო თავისუფლების შესახებ“[38].

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ თვისობრივ კვლევაში რელიგიური უმცირესობები აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირის დროს ჩამორთმეული ქონების რესტიტუცია ისტორიული სამართლიანობის აღდგენისა და თანასწორუფლებიანობის დაცვის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა[39].

მე-20 საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს, საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს სარგებლობის უფლებით გადაეცა საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩამორთმეული ქრისტიანული საკულტო ნაგებობები. სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 12 აპრილის #183 დადგენილებით კი, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გარდა, საქართველოში არსებული ყველა რელიგიური გაერთიანება გაუქმებულად გამოცხადდა[40].

საპატრიარქოსთვის სარგებლობის უფლებით გადაცემულ ტაძრებს შორის, მართლმადიდებლურთან ერთად ის საკულტო ნაგებობებიც აღმოჩნდა, რომლებიც ისტორიულად სხვა რელიგიურ გაერთიანებებს ეკუთვნოდა. ამასთანავე, დაუბრუნებელი დარჩა საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ის რელიგიური

---

[38] აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და შრომის საკითხების ბიურო 2010 წლის ანგარიში რელიგიის საერთაშორისო თავისუფლების შესახებ: http://photos.state.gov/libraries/georgia/328666/govt_reports/2010-international-religious-freedom-georgian.pdf

[39] ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის კვლევა იხ. ლინკზე: http://opinion.civil.ge/publications/291

[40] http://opinion.civil.ge/publications/291

ნაგებობებიც, რომლებიც საპატრიარქოს ინტერესის საგანს არ წარმოადგენდა, სახელმწიფო ან კერძო მფლობელობაში ირიცხებოდა და სხვადასხვაგვარად ფუნქციონირებდა (თეატრი, სპორტული დარბაზი, საცეკვაო დარბაზი, ბიბლიოთეკა და ა.შ.)[41].

რელიგიურ კონფესიებს საკულტო ნაგებობები ჩამოერთვათ საბჭოთა კავშირის დროს. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენელთა განცხადებით, საკულტო ნაგებობების რელიგიური უმცირესობებისათვის გადაცემის პროცესი სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე ხორციელდება. საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს რესტიტუციის კლასიკურ მოდელს. საქართველო არაა იმ სახელმწიფოს სამართალმემკვიდრე, რომელმაც რელიგიურ უმცირესობებს ესა თუ ის ქონება ჩამოართვა, მაგრამ, რადგან საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რელიგიური ნაგებობები საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებაში აღმოჩნდა, ცხადია, სახელმწიფო თავს ვალდებულად მიიჩნევს, რომ რელიგიურ კონფესიებს სარგებლობაში გადასცეს ის ნაგებობები, რომელიც დღემდე სახელმწიფოს საკუთრებაშია და ისტორიულად ამა თუ იმ რელიგიურ კონფესიას ეკუთვნის[42].

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსათვის ცნობილია, რომ კათოლიკურ ეკლესიასა და მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის მიმდინარეობს დავა რამდენიმე ტაძართან დაკავშირებით. თუმცა, როგორც ადამიანის უფლებათა ცენტრს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა არჩილ მეტრეველმა განუცხადა, კათოლიკურ ეკლესიას სააგენტოსთვის აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არასდროს მიუმართავს. „კათოლიკური ეკლესიის პრიორიტეტს ამ ეტაპზე ახალი სალოცავების აშენება წარმოადგენს. იმისათვის, რომ განხილულ იქნეს სადავო ეკლესიების კუთვნილების საკითხი, აუცილებელია, შესაბამისი რელიგიური უმცირესობების მიერ სააგენტოსათვის მიმართვა, რადგან სახელმწიფო თავისი ინიციატივით ამგვარ დავებში არ უნდა ერეოდეს“ - აღნიშნა არჩილ მეტრეველმა. ამავე დროს, სააგენტო ადასტურებს, რომ ეს თემა მუდმივი მსჯელობის საგანია, მაგრამ პროცედურულად ამ საკითხზე მუშაობა არ დაწყებულა.

სომეხთა სამოციქულო წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის მიერ დასახელებულ სადავო ტაძრებთან დაკავშირებით რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ დაიწყო კონსულტაციები შესაბამისი კომპეტენციის სახელმწიფო

---

[41] იგივე

[42] სტატია -„სახელმწიფო ვალდებულია, საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ქონება შესაბამის რელიგიურ თემს დაუბრუნოს“ http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18640&lang=geo

უწყებებთან და ინსტიტუტებთან, ძირითადად - კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო სააგენტოსთან. კათოლიკური ტაძრებისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში, საკითხი უფრო დინამიურად მიმდინარეობს.

საპატრიარქოს მდივანი მამა მიქაელი (ბოტკოველი) მიიჩნევს, რომ მსგავსი „დავების" მოსაგვარებლად საჭიროა, შეიქმნას ორმხრივი კომისია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ როგორც იმ რელიგიის წარმომადგენლები, რომლებიც საკუთრებასთან დაკავშირებით დავობენ, ისე მართლმადიდებელი ღვთისმსახურები. ასევე, მონაწილეობას მიიღებენ: არქიტექტორები, ისტორიკოსები და არქეოლოგები. ამ გზით უფრო შესაძლებელი იქნება საერთო შეთანხმებაზე შეჯერება[43].

სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის ხელმძღვანელის, ბექა მინდიაშვილის განცხადებით, პრობლემის მოსაგვარებლად, აუცილებელია მიღებულ იქნას კანონი, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა რელიგიური კონფესიისთვის საბჭოთა მმართველობის დროს ჩამორთმეული ქონების რესტიტუციას. გარდა ამისა, სადავო საკუთრების საკითხი უნდა გადაწყდეს საერთო კონსესუსის შედეგად.

რაც შეეხება სინაგოგებსა და მეჩეთებს, დღეისათვის საქართველოს კანონმდებლობა იძლევა საკულტო ნაგებობების რელიგიური გაერთიანებებისათვის მხოლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემის შესაძლებლობას, დაუშვებელია ამ ნაგებობების პრივატიზება[44]. ამასთან, სახელმწიფო მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებად ცნობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებს, მონასტრებს (მოქმედს და არამოქმედს), მათ ნანგრევებს, აგრეთვე, მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც ისინია განლაგებული[45].

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს განცხადებით, საკულტო ნაგებობების სარგებლობაში გადაცემის შემთხვევაში, რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები ყველა იმ უფლებით სარგებლობენ, რაც აუცილებელია ნაგებობების საჭიროებებიდან გამომდინარე.

საკულტო ნაგებობების სარგებლობის უფლებით გადაცემის პროცესში მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო,

---

[43] იხ.: ინტერვიუ - მამა მიქაელი: „საერთო მშვიდობისთვის შეთანხმებებს უნდა მივაღწიოთ" http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18635&lang=geo

[44] „სახელმწიფო ქონების შესახებ "საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „მ" ქვეპუნქტი

[45] „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის" კონსტიტუციური შეთანხმების მე-7 მუხლის I პუნქტი

რომელიც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იღებს მხოლოდ რეკომენდაციებს[46] და არა საბოლოო გადაწყვეტილებებს.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოში შექმნილია რელიგიური გაერთიანებების ფინანსური და ქონებრივი საჭიროებების შემსწავლელი სარეკომენდაციო კომისია. კომისიის შემადგენლობაში შედიან სააგენტოსა და სხვა უწყებების წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტები და როტაციული წესით ხმის უფლებით მონაწილეობს იმ რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი, რომელიც ითხოვს საკულტო ნაგებობის სარგებლობის უფლებით გადაცემას.

კომისია დაარსების დღიდან მუშაობს უწყვეტ რეჟიმში, დღეისათვის განხილულია სინაგოგების, მეჩეთებისა და ქალაქ გორში მდებარე სალოცავის შესაბამისი თემებისათვის სარგებლობაში გადაცემის საკითხი. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩილ მეტრეველის განცხადებით, კომისია მანამ გაარძელებს მუშაობას, სანამ არ ამოიწურება ის ქონება, რომლის სარგებლობაში გადაცემის საჭიროებაც არსებობს.

ამ ეტაპზე კომისიამ დადებითი რეკომენდაცია გასცა 11 სინაგოგისა და 87 მეჩეთის რელიგიური უმცირესობებისათვის სარგებლობაში გადაცემის შესახებ. ნელ-ნელა მიმდინარეობს სარგებლობის უფლების რეგისტრაციის პროცესიც.

რელიგიური უმცირესობებისათვის საკულტო ნაგებობების სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებულ ღონისძიებები დადებითად უნდა შეფასდეს. თუმცა, სააგენტოს წინაშე მრავალი გამოწვევაა. მნიშვნელოვანია, საკულტო ნაგებობები რელიგიურ უმცირესობებს სარგებლობაში უფრო მოკლე ვადებში გადაეცეს.

გარდა ამისა, საჭიროა, საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც შესაძლებელს გახდის ყველა რელიგიური კონფესისთვის საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ქონების საკუთრებაში დაბრუნებას.

[46] საქართველოს მთავრობის დადგენილება N177 2014 წლის 19 თებერვალი ქ. თბილისი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“

რელიგიურ უმცირესობათა მემკვიდრეობის დაზიანება - პასუხისმგებლობა

კულტურული მემკვიდრეობის სახელმწიფო დაცვას, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში, ახორციელებენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, აგრეთვე სხვა სახელმწიფო ორგანოები, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირები, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე – აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი ორგანოები. კანონმდებლობის შესაბამისად, აკრძალულია ძეგლზე რაიმე სამუშაოების ჩატარება. ძეგლზე განზრახ იმგვარი ზემოქმედების მოხდენა, რის გამოც ძეგლს ემუქრება გამოუსწორებელი დაზიანება ან განადგურება, გამოიწვევს პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით[47].

ბოლო პერიოდში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, მათ შორის - მართლმადიდებლური ეკლესიების, თვითნებური გადაკეთებისა და დაზიანების რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა. სოციალურ ქსელებში გავრცელდა მოსაზრება, რომ რაკი კონსტიტუციური ხელშეკრულებით - კონკორდატით სახელმწიფო მართლმადიდებელ ეკლესიას საკუთრებაში გადასცემს ისტორიულ ეკლესია-მონასტრებს, „მესაკუთრეს“ უფლება აქვს, როგორც უნდა ისე გამოიყენოს „თავისი საკუთრება“.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორის ნიკოლოზ ანთიძის განცხადებით, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს იცავს კანონი და ვინც არ უნდა იყოს მისი მესაკუთრე, მას ამ კანონის დაცვის ვალდებულება აქვს[48]. დაუშვებელია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის თვითნებური გადაკეთება. კონკორდატი არავის აძლევს უფლებას, ვისაც როგორ უნდა, ისე მოექცეს კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლს. სააგენტომ გაამკაცრა მიდგომა და 2014 წელს შექმნა კულტურული მემკვიდრეობის ინსპექცია, რომელიც ძეგლის დაზიანების შემთხვევაში, ამ ეტაპზე მხოლოდ გაფრთხილებებით შემოიფარგლება. ამავე დროს, მიმდინარეობს მუშაობა კულტურული მემკვიდრეობის ახალ კოდექსზე, რომლის დამუშავების შემდეგ ყველა უკანონობის ჩამდენის მიმართ აუცილებლად უფრო მკაცრი კონკრეტული ქმედებები განხორციელდება. დღეს ამ

[47] კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი
[48] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის ინტერვიუ ნიკოლოზ ანთიძესთან ლინკზე: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18630&lang=geo

პროცესის კონტროლი რთულია. დღეს არსებული კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონი სისხლის სამართლებრივი დევნის საფუძველს იძლევა, მაგრამ ამ ყველაფრის გატარება კონკრეტული სასულიერო პირების მიმართ, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ძალიან დიდ სირთულეს წარმოადგენს. ნიკოლოზ ანთიძის თქმით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, ამა თუ იმ კანონდარღვევის თაობაზე პროკურატურისთვის უცნობებია, მაგრამ გამოძიების შედეგები მისთვის უცნობია, სწორედ ამიტომაა აუცილებელი კულტურული მემკვიდრეობის ინსპექციის ფუნქციების გაზრდა. ახალი კოდექსის ამოქმედების შემდეგ, ინსპექციის მუშაობა უფრო ეფექტური იქნება.

არსებული პრაქტიკით, თუ ძეგლი ისე დაზიანდა, რომ მისი გამოსწორება შეუძლებელია, დგება სისხლის სამართლებრივი დევნის საკითხი. არსებობს ასევე მეორე მიმართულება, რაც უფრო ხშირად გვხვდება, როცა „კეთილი განზრახვით“, მაგალითად - რეაბილიტაციის დროს ზიანდება ძეგლი. ასეთი დაზიანების გამოსწორება უფრო ადვილია და აქ უმეტესწილად ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხი დგება[49].

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, რელიგიურ უმცირესობათა მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად აუცილებელია, ერთი მხრივ, შესაბამისი სტატუსი მიენიჭოს რელიგიურ უმცირესობათა იმ მემკვიდრეობას, რომელიც დღეისათვის ამ სტატუსით არ სარგებლობს და მეორე მხრივ, გატარდეს ქმედითი ღონისძიებები დამრღვევთა მიმართ. გარდა ამისა, მართლაც აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილებებიც, რომლებიც ძეგლთა დაცვის ინსპექციას მეტ შესაძლებლობებს მისცემს. აუცილებელია, ყველა კანონდარღვევაზე სათანადო რეაგირება და ყველა სამართალდამრღვევის მიმართ თანაბარი მოპყრობა.

[49] იხ. იქვე: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18630&lang=eng

მედიატური - რელიგიური უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები

პროექტის ფარგლებში, 2016 წლის 9 თებერვალს ადამიანის უფლებათა ცენტრმა მოაწყო მედიატური ახალციხისა და ადიგენის მუნიციპალიტეტების სოფლებში. პრესის, რადიოს, ტელევიზიებისა და ინტერნეტ-გამოცემების ჟურნალისტები ადგილზე გაეცნენ რელიგიურ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობას. მედიატურში მონაწილეობა რეგიონული მედიის წარმომადგენლებმაც მიიღეს.

მედიატური ითვალისწინებდა ქალაქ ახალციხეში გურამიშვილის ქუჩაზე არსებული ორი სინაგოგის, ასევე, სოფელ საყუნეთში მდებარე მეჩეთის, სოფელ ადიგენისა და სოფელ ფლატის მეჩეთების მონახულებას. მედიატურში მონაწილეობდა კანადის ადგილობრივი ინიციატივების ფონდის კოორდინატორი, ამარ კარერი.

მედიატურის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებმა ჟურნალისტებს მიაწოდეს ინფორმაცია ისტორიული მეჩეთებისა და სინაგოგების დღევანდელი მდგომარეობის შესახებ. ჟურნალისტებმა ძეგლები მოინახულეს და გაესაუბრნენ ადგილობრივ მოსახლეობას. საყუნეთში, ფლატესა და ადიგენში მცხოვრებმა მართლმადიდებელმა მოქალაქეებმა ტელეკამერებთან ღიად გამოხატეს თავიანთი უარყოფითი აზრი მეჩეთებისათვის ფუნქციური დანიშნულების დაბრუნების საკითხზე. ჟურნალისტები, ასევე, ესაუბრნენ ებრაელთა თემის წარმომადგენელს ახალციხეში სიმონ ლევიშვილს, რომელმაც ისაუბრა ახალციხიდან ისრაელში ქართველი ებრაელის გადასახლებაზე, რამაც გამოიწვია ახალციხის სინაგოგების უმოქმედობა.

მედიატურის მონაწილე ჟურნალისტებმა მიიღეს უახლესი ინფორმაცია, რომ ადამიანის უფლებათა ცენტრის ინიციატივით, 8 თებერვალს ადიგენისა და ფლატის მეჩეთებს მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

რეკომენდაციები

ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს საქართველოს მთავრობას:

- ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელებთან კონტაქტების გასაღრმავებლად და მათი ნაწილის საქართველოში დასაბრუნებლად შეიმუშავოს შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკა;
- უზრუნველყოს რელიგიურ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და შესაბამისი ღირებულების ძეგლებს მიანიჭოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი;
- გადასცეს რელიგიურ კონფესიებს საკულტო ნაგებობები, რათა ეფექტიანად იყოს უზრუნველყოფილი მათი დაცვა და მოვლა-პატრონობა;
- ჩაატაროს სპეციალური ტრენინგები ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენლების ტოლერანტული ცნობიერების ასამაღლებლად.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს პარლამენტს, დროულად მიიღოს:

- კანონი, რომელიც უზრუნველყოფს საბჭოთა მმართველობის დროს ჩამორთმეული საკულტო ნაგებობების რესტიტუციას;
- კულტურული მემკვიდრეობის კოდექსი, რომელიც გაზრდის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ინსპექციის უფლებამოსილებას.

ადამიანის უფლებათა ცენტრი თვლის, რომ **რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ** მაქსიმალურად მცირე დროში უნდა გასცეს რეკომენდაციები რელიგიური კონფესიების ქონებასთან დაკავშირებით.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მიმართავს **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა** და **მთავარ პროკურატურას,** რათა თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებით, გამოიძიონ და პასუხისგებაში მისცენ სამართალდამრღვევი პირები, რომელთაც რელიგიური შეუწყნარებლობის ან სხვა მოტივით მოახდინეს რელიგიურ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის ხელყოფა.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს **კათოლიკურ ეკლესიას,** მოახდინოს ადვოკატირება სათანადო ორგანოებთან სადავო ეკლესიების დაბრუნების მიზნით.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მიმართავს **მუსლიმურ თემს,** რათა მან განახორციელოს ადვოკატირება შესაბამის ორგანოებში მათი მემკვიდრეობისათვის შესაბამისი სტატუსის მინიჭებისა და რეაბილიტაციის მიზნით.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მიმართავს **საქართველოს საპატრიარქოს,** იმსჯელოს იმ სასულიერო პირთა განცხადებებსა და ქმედებებზე, რომელთა შედეგად, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სოფლებში ღვივდება რელიგიური დაპირისპირებები და პერიოდულად განიხილება ისტორიული მეჩეთების დაზიანების, გადაკეთების ან დანგრევის საკითხი.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს ადგილობრივი **ადმინისტრაციის წარმომადგენლებს,** რელიგიური უმცირესობების სენსიტიურ პრობლემებზე იმუშაონ ტოლერანტული მიდგომით და წაახალისონ ადამიანები, რომლებიც ენთუზიაზმით უვლიან სალოცავებს.

დანართი

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ რელიგიურ უმცირესობათა კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით მომზადებული სტატიები

1. „ონის სინაგოგა დღეს ისევ დაკეტილია“
http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18578&lang=geo
2. „დაკეტილი სინაგოგები“
http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18648&lang=geo
3. „სურბ ეჩმიაძინისა და სურბ გევორგის ტაძრების რესტავრაციის შემდეგ სომეხთა სამოციქულო ეკლესია მათ საკუთრებაში გადაცემას ელის“
http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18598&lang=geo
4. „ქუთაისის ღვთისმშობლის ხარების ეკლესიის კუთვნილების საკითხი ისევ გადაუჭრელია“
http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18602&lang=geo
5. „ბათუმის კათოლიკურ ტაძარში მართლმადიდებლური წირვა-ლოცვა გრძელდება“
http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18639&lang=geo
6. “მართლმადიდებელ ქალბატონს საყუნეთის მეჩეთის მოვლა-პატრონობა აუკრძალეს”
http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18609&lang=geo
7. “ადიგენისა და ფლატის ისტორიული მეჩეთები დანგრევის პირასაა “
http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18613&lang=geo
8. „შეხვედრა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურ დირექტორთან“
http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18612&lang=geo
9. „ნიკოლოზ ანთიძე - კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონი მკაცრდება“
http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18630&lang=geo
10. „მამა მიქაელი: „საერთო მშვიდობისთვის შეთანხმებებს უნდა მივაღწიოთ“
http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18635&lang=geo
11. „თბილისში მდებარე სადავო სომხური ტაძრები ინგრევა“
http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18642&lang=geo
12. ინტერვიუ არჩილ მეტრეველთან - „სახელმწიფო ვალდებულია, საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ქონება შესაბამის რელიგიურ თემს დაუბრუნოს“
http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18640&lang=geo
13. ბექა მინდიაშვილი: „რელიგიურ უმცირესობებს წართმეული სალოცავები რესტიტუციის გზით უნდა დაუბრუნდეს“
http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18641&lang=geo
14. „მედიატური - რელიგიური უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები“
http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18651&lang=geo